საპენსიო სააგენტოს როლი ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებაში საქართველოს მაგალითზე

ბექა ჯანელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მელიქიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბექა ჯანელიძე *ხელმოწერა და თარიღი*

აბსტრაქტი

კაპიტალის ბაზარი დაფინანსების მიმღებსა და დაბანდების მსურველს, სარგებლის ნახვის მიზნით, ერთანეთთან აკავშირებს. კაპიტალის ბაზრის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საფონდო ბირჟა, სადაც ივაჭრება როგორც ახალი ისე უკვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები. საქართველოში კაპიტალის ბაზარი ადრეულ სტადიაზეა და მისი განვითარებისთვის არაერთი საკანონმდებლო ცვლილება ამოქმედდა. გრძელვადიანი ლარის უზრუნველსაყოფოდ და საპენსიო ასაკში ღირსეული პენსიის მისაღებად საქართველოს პარლამენტმა 2018 წლიდან დაგროვებითი საპენსიო პენსიის შესახებ კანონი მიიღო. აღნიშნული კანონის საფუძველზე დაარსდა ს(ს)იპ საპენსიო სააგენტო, რომელმაც ფონდში ფულის მობილიზება 2019 წლიდან დაიწყო.

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოს კაპიტალის ბაზარს და მის განვითარებაში საპენსიო სააგენტოს როლს. ნაშრომი წვლილს შეიტანს, როგორც ეკონომიკურ ისე მეცნიერული კუთხით. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებაში საპენსიო ფონდის როლი.

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი, რომელიც დაყოფილია 3 ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობს მეორადი წყაროების მოძიებასა და მათ სიღრმისეულ ანალიზს, რომლის დროსაც მოხდა როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული წყაროების შესწავლა. მეორე ეტაპი მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვას, კერძოდ ს(ს)იპ საპენსიო სააგენტოდან. კვლევის მესამე ეტაპზე - ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ შესაბამისი დარგის ექსპერტებთან. კვლევის პროცესში გამიზნულად იქნა გამოკითხული 4 სფეროს წარმომადგენელი: საპენსიო სააგენტოს წარმომადგენელი, რეგულატორი, დამოუკიდებელი ექსპერტი და ბიზნესი, რადგან შედეგები მაქსიმალურად ყოვლისმომცველი ყოფილიყო.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს კაპიტალის ბაზარს აფერხებს რამდენიმე ფაქტორი: საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკური არასტაბილურობა, მცირე

მოცულობის ბაზარი და უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა. ქართული კაპიტალის ბაზრის და ზოგადად ბიზნესის განვითარებაში უდიდესი როლი აქვს ქვეყნის გეოპოლიტიკურ კურსს, უდიდესი შესაძლებლობებია ევროპისა და ამერიკის ბაზრიდან ინვესტიციების მოზიდვის, რომელიც გახდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი გარანტი.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, კაპიტალის ბაზარი, საინვეტიციო პორტფელი, საპენსიო სააგენტო.

Abstract

The capital market connects the recipient of financing and the investor willing to see the benefits. One of the forms of the capital market is the stock exchange, where both new and already issued securities are traded. The capital market in Georgia is at an early stage, and several legislative changes have been enacted for its development. To provide long-term GEL and to receive a decent pension at retirement age, the Parliament of Georgia adopted the law on cumulative retirement pension in 2018. Based on the mentioned law, the pension agency, a legal entity of public law, was established, which started mobilizing money in the fund in 2019.

This paper reviews the capital market of Georgia and the role of the pension agency in its development. The paper will contribute both from an economic and a scientific point of view. The aim of the paper is to study the role of the pension fund in the development of the capital market in Georgia.

The work mainly uses the qualitative research method, which is divided into 3 stages. The first stage involves the search for secondary sources and their in-depth analysis, during which both international and Georgian sources were studied. The second stage includes requesting relevant information from state structures, in particular from the State Pension Agency. In the third stage of the research, an in-depth interview was conducted with experts in the relevant field. In the research process, representatives of 4 areas were purposefully interviewed: a representative of the pension agency, a regulator, an independent expert and a business, so that the results were as comprehensive as possible.

As a result of the research, it was confirmed that several factors hinder the capital market of Georgia: legal framework, political instability, small volume market and lack of foreign investments. The geopolitical course of the country has a great role in the development of the Georgian capital market and business in general, there are great opportunities to attract

investments from the European and American markets, which will become a long-term guarantee of the country's economic development.

Key words: investments, capital market, investment portfolio, pension agency.